სამოქალაქო აქტივისტების წინააღმდეგ მიმდინარე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეები

სასამართლო მონიტორინგის შედეგები

2024

ადამიანის უფლებათა ცენტრი

ავტორი: გია ჩხაიძე

რედაქტორი: ალეკო ცქიტიშვილი

ანალიტიკური დოკუმენტი მოამზადდა აშშ-ის ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას. შესაბამისად, NED არ არის პასუხისმგებელი ტექსტის შინაარსზე.

სარჩევი

შესავალი 4

მეთოდოლოგია 5

1. ედუარდ მარიკაშვილის, საბა ბრაჭველის, ნიკა რომანაძის, ნოდარ სიხარულიძის, გრიგოლ ფრანგიშვილის, შოთა თუთბერიძისა და ლევან ნიშნიანიძის ადმინისტრაციული საქმეები 5

2. დაცულია თუ არა, უხამსი ან/და შეურაცხმყოფელი გამონათქვამები შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებით - საერთაშორისო პრაქტიკა 12

3. სახელმწიფოს ვალდებულება მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების დასაცავად 15

დასკვნა 17

შესავალი

ადამიანის უფლებათა ცენტრი სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული სასამართლო პროცესების მონიტორინგის ფარგლებში აკვირდებოდა სამოქალაქო აქტივისტების - ედუარდ მარიკაშვილის, საბა ბრაჭველის, ნიკა რომანაძის, ნოდარ სიხარულიძის, გრიგოლ ფრანგიშვილის, შოთა თუთბერიძისა და ლევან ნიშნიანიძის ადმინისტრაციული საქმეების განხილვას თბილისის საქალაქო სასამართლოში. ეს საქმეები, ასევე ცნობილია „ცარიელი ფურცლების საქმის“ სახელით,[1] რადგანაც უფლებადამცველები და აქტივისტები პოლიციამ მაშინ დააკავეს, როდესაც ისინი საქართველოს პარლამენტთან სხვადასხვა წარწერიანი ბანერებითა და ასევე - ცარიელი ფურცლებით მშვიდობიანად აპროტესტებდნენ პრემიერ-მინისტრის მიერ გლობალური უსაფრთხოების ფორუმზე გაკეთებულ განცხადებას.[2] პოლიცია მათ წვრილმანი ხულიგნობის ჩადენასა და პოლიციისთვის კანონიერი მოთხოვნისათვის დაუმორჩილებლობას ედავებოდა. საქმეების განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოში დასრულდა. სასამართლომ ყველა ეს პირი სამართალდამრღვევად ცნო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ნაწილში და ადმინისტრაციული ჯარიმა შეუფარდა, ნაწილის მიმართ კი ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლთან დაკავშირებით საქმე შეწყვიტა სამართალდარღვევის ფაქტის არარსებობის გამო.[3] ნოდარ სიხარულიძე და ლევან ნიშნიანიძე სასამართლომ ორივე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენაში ცნო სამართალდამრღვევად და სახდელის სახით დააკისრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით.

სასამართლო პროცესების დაკვირვების შედეგად გამოკვეთილი ხარვეზები დაკავშირებულია როგორც უფლებადამცველებისა და სამოქალაქო აქტივისტების ადმინისტრაციული წესით დაკავებასთან, ისე ამ საქმეების სასამართლოში განხილვასთან. მათ შორის, გამოსაყოფია, პოლიციის მიერ დაკავებულებისათვის დაკავების საფუძვლისა და უფლება-მოვალეობების შესახებ განმარტების მიუწოდებლობა, დაკავებისა და მისი ვადის გაგრძელების საფუძვლების დაუსაბუთებლობა,[4] ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მტკიცებულებების მოპოვებისა და სასამართლოში წარდგენის დაბალი სტანდარტი, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მიუხედავად, სასამართლო სხდომების მცირე ზომის დარბაზში გამართვა, სასამართლოში იმ პოლიციელების დაკითხვა მოწმის სახით, რომლებიც დაცვის მხარის შეფასებით საერთოდ არ მონაწილეობდნენ დაკავების პროცესში, ვიდეომტკიცებულებების გამოკვლევა მოსამართლის მაგიდასთან განთავსებულ კომპიუტერში, სხდომის დარბაზის ტექნიკური გაუმართაობა და სხვ.

ამ დოკუმენტის მიზანია გააანალიზოს ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციულ საქმეებზე გამოტანილი სასამართლო დადგენილების თავსებადობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკასთან. ასევე, შეაფასოს შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების

---

[1] თეთრი ფურცლით პროტესტი, რადიო თავისუფლება, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/qtwps8 [21.01.2024].
[2] პრემიერ-მინისტრი ბრატისლავის გლობალური უსაფრთხოების ფორუმზე, პირველი არხი, 30 მაისი 2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/wey1uf [21.01.2024].
[3] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 27 სექტემბრის დადგენილება, საქმის N4/4086-23; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 28 სექტემბრის დადგენილება, საქმის N4/5969-23.
[4] სასამართლოს მეგობრის (Amicus curiae) მოსაზრება მოქალაქე საბა ბრაჭველის საქმეზე, N15- 5/5562, საქართველოს სახალხო დამცველი, 13/06/2023, 26, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/tpra5q [05.02.2024].

დაცული ფარგლები უხამსი შინაარსის გამონათქვამებთან (პროფანაციული გამოხატვა) დაკავშირებით, როდესაც ამგვარი სტილისტური ფორმით გამოხატული პროტესტის ადრესატი ხელისუფლების წარმომადგენლის პოლიტიკური განცხადებაა. ბოლოს, გამოკვეთოს სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მშვიდობიანი გამოხატვის თავისუფლების დასაცავად.

მეთოდოლოგია

სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული სასამართლო პროცესების მონიტორინგი ხორციელდება ადამიანის უფლებათა ცენტრის (Human Rights Center) მიერ შემუშავებული სასამართლო პროცესების მონიტორინგის მეთოდოლოგიის საფუძველზე, რომლის მიზანია, მონიტორინგის ქვეშ არსებული სასამართლო პროცესებისა და ქვეყნის შიდა კანონმდებლობის სამართლიანი სასამართლოს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება, სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებში შესაძლო ხარვეზების, ასევე სავარაუდო პოლიტიკური მოტივების იდენტიფიცირება და ანალიზი.

სასამართლო პროცესების მონიტორინგს ახორციელებს 2 იურისტ-მონიტორი, რომლებმაც გაიარეს სპეციალური ტრენინგი სასამართლო პროცესების მონიტორინგის შესახებ. მონიტორინგის სწორად წარმართვისათვის საწყის ეტაპზე შემუშავდა სპეციალური კითხვარი სასამართლო მონიტორინგისათვის. იურისტ-მონიტორები ყოველი სასამართლო სხდომის შემდეგ ამუშავებენ სასამართლო სხდომებიდან მიღებულ ინფორმაციას, რომელსაც იურისტი-ანალიტიკოსი აანალიზებს და შესაბამისი ანგარიშებისთვის იყენებს. სასამართლო სხდომის ანგარიშების გარდა, დოკუმენტში გამოყენებულია საჯარო წყაროებიდან გავრცელებული ღია ინფორმაცია და მონიტორინგის ქვეშ არსებული საქმეების შესახებ გამოქვეყნებული სხვადასხვა დოკუმენტები.

სასამართლო პროცესების მონიტორინგი ეფუძნება ობიექტურობისა და სასამართლო პროცესებში ჩაურევლობის მკაცრი პრინციპების დაცვას. ჩაურევლობის, მიუკერძოებლობის და ობიექტურობის პრინციპებთან ერთად, სასამართლო ორგანოების დამოუკიდებლობის სათანადოდ გათვალისწინების მიზნით, ადამიანის უფლებათა ცენტრი მუდმივად ხელმისაწვდომს ხდის ინფორმაციას სასამართლო სხდომების წარმართვისა და დასკვნების შესახებ პროცესში ჩართული მხარეებისთვის, მედიისა და საზოგადოებისთვის

1. ედუარდ მარიკაშვილის, საბა ბრაჭველის, ნიკა რომანაძის, ნოდარ სიხარულიძის, გრიგოლ ფრანგიშვილის, შოთა თუთბერიძისა და ლევან ნიშნიანიძის ადმინისტრაციული საქმეები

1.1. რას ედავებოდა პოლიცია უფლებადამცვლებსა და სამოქალაქო აქტივისტებს

ედუარდ მარიკაშვილი, საბა ბრაჭველი, ნიკა რომანაძე, ნოდარ სიხარულიძე და გრიგოლ ფრანგიშვილი პოლიციამ 2023 წლის 2 ივნისს, საქართველოს პარლამენტთან,

ადმინისტრაციული წესით დააკავა.[5] შინაგან საქმეთა სამინისტრო მათ წვრილმანი ხულიგნობისა[6] და პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას[7] ედავებოდა. ადმინისტრაციული წესით დაკავებულების საქმეს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ერთად,[8] გამოეხმაურა სახალხო დამცველი. მან დაგმო სამართალდამცავთა მიერ გამოხატვის თავისუფლებაში უხეში ფორმით ჩარევა და მოუწოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს უზრუნველეყო სრულიად მშვიდობიანი შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვა.[9] სახალხო დამცველის შეფასებით, ამ პირების სამართალდამრღვევად ცნობა გამოიწვევდა საქართველოს კონსტიტუციის დარღვევას, რასაც მსუსხავი ეფექტი ექნებოდა მომავალში მსგავსი ფორმით პროტესტის გამოხატვაზე.[10]

სასამართლოში შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების განმარტებით,[11] ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირები იმყოფებოდნენ რუსთაველის გამზირზე, საქართველოს პარლამენტის წინ, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე, მათ ხელში ეჭირათ შეურაცხმყოფელი და უცენზურო პლაკატები, ხოლო გრიგოლ ფრანგიშვილს ეცვა თეთრი ფერის მაისური უხამსი წარწერებით.[12] ისინი ამგვარი ქმედებით არღვევდნენ საზოგადოებრივ წესრიგს და მოქალაქეთა სიმშვიდეს.[13] პოლიციის არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, შეენახათ ბანერები, უფლებადამცველები და სამოქალაქო აქტივისტები აგრძელებდნენ ბანერების გამოყენებას, რა დროსაც შეურაცხყოფა მიაყენეს პოლიციის თანამშრომლებს უწოდეს მათ „მონა“, „ნაძირალა“, „პუტინის მილიცია“[14] და არ დაემორჩილნენ პოლიციის მოთხოვნას.[15] ამ უკანასკნელი გარემოების შესახებ აღსანიშნავია, რომ „ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სასამართლოში მტკიცებულის სახით წარდგენილ ვიდეოკადრებში არ ისმოდა არც დემონსტრანტების მიერ წარმოთქმული შეურაცხმყოფელი სიტყვები და არც ის, რომ სამართალდამცველები მათ სთხოვენ რამეს, რასაც არ ითვალისწინებენ“.[16] საქმეში წარმოდგენილ ვიდეოჩანაწერებში ასახული იყო სამართალდამცველების მითითება ბანერების (ფურცლების) ჩამოხსნისაკენ და განმარტება, რომ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მსგავსი ქმედება დაუშვებელი იყო.[17]

სასამართლოში ახსნა-განმარტების ეტაპზე ედუარდ მარიკაშვილმა განმარტა, რომ მასაც ეჭირა ბანერი წარწერით „ირაყლი“, მაგრამ ის დააკავეს ცარიელი ფურცლის

---

[5] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 27 სექტემბრის დადგენილება, საქმის N4/4086-23.
[6] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის პირველი ნაწილი.
[7] იქვე, 173-ე მუხლის პირველი ნაწილი.
[8] სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საგანგებო განცხადება უფლებადამცველების დაკავების ფაქტებზე, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 03 ივნისი 2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/5vgwu5 [11.02.2024].
[9] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება რუსთაველზე საპროტესტო აქციაზე განვითარებულ მოვლენებზე, 4 ივნისი 2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/oqkq5w [28.01.2024].
[10] სახალხო დამცველმა 2 ივნისს დაკავებული აქციის მონაწილეების საქმეებზე სასამართლოს მიმართა, 16 ინვისი 2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/x1rtah [05.02.2024].
[11] სასამართლო მონიტორინგის ანგარიში ედუარდ მარიკაშვილის, საბა ბრაჭველის, ნიკა რომანაძის, ნოდარ სიხარულიძის, გრიგოლ ფრანგიშვილის ადმინისტრაციულ საქმეზე: 23.06.2023.
[12] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 27 სექტემბრის დადგენილება, საქმის N4/4086-23.
[13] იქვე.
[14] „ირაყლის“ საქმეზე დაკავებულები სამართალდამრღვევებად ცნეს და დააჯარიმეს, პუბლიკა, 27 სექტემბერი 2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/t8fgnb [09.02.2024].
[15] მოსამართლემ მოქალაქე სუფთა ფურცლის გამო 500 ლარით დააჯარიმა, რადიო თავისუფლება, 27 სექტემბერი 2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/2owoj8 [21.01.2024].
[16] იქვე.
[17] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 27 სექტემბრის დადგენილება, საქმის N4/4086-23.

ჭერისთვის, რადგანაც მანამდე პოლიციამ მას წაართვა წარწერიანი ფურცელი.[18] სხვა დაკავებული პირები ახსნა-განმარტების ეტაპზე აღნიშნავდნენ, რომ ამგვარი გამოხატვის ფორმა დაცული იყო საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით. ისინი სოლიდარობას უცხადებდნენ შოთა თუთბერიძეს და სხვა პირებს, რომლებიც პროტესტის გამოხატვისას მანამდე დააკავეს ადმინისტრაციული წესით, მიუხედავად იმისა, რომ მათ არც შეურაცხყოფა მიუყენებიათ პოლიციისთვის და არც წინააღმდეგობა გაუწევიათ.[19]

შოთა თუთბერიძესა და ლევან ნიშნიანიძეს პოლიცია ედავებოდა წვრილმანი ხულიგნობისა და პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას.[20] შსს-ს წარმომადგენლების განმარტებისა და საქმეზე დაკითხული პოლიციელების ჩვენების თანახმად, შოთა თუთბერიძე 2 ივნისს, პარლამენტთან დააკავეს ადმინისტრაციული წესით ზემოაღნიშნული პირების დაკავებამდე.[21] მას ხელში ეჭირა ბანერი, რომელზეც ეწერა სიტყვა „ირაყლი“. პოლიციის არაერთი მოწოდების მიუხედავად, თუთბერიძე აგრძელებდა, პოლიციის შეფასებით, უხამსი და შეურაცხმყოფელი შინაარსის ფურცლის გამოყენებას, რითაც საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილზე არღვევდა წესრიგს, რადგანაც მისი გამოყენება არ იყო კავშირში პოლიტიკურ გამოხატვასთან. ამასთან, მან შეურაცხყოფა მიაყენა პოლიციის თანამშრომლებს.[22] შოთა თუთბერიძის ახსნა-განმარტების თანახმად, მას შეურაცხყოფა არ მიუყენებია პოლიციისათვის, ხოლო აღნიშნული სიტყვის ბანერზე დაწერა იყო სახელის - „ირაკლის“ დამამცირებელი/დაცინვის ფორმა მისი გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში.[23]

შინაგან საქმეთა სამინისტროს მტკიცებით, 2023 წლის 2 ივნისს, საქართველოს პარლამენტთან ლევან ნიშნიანიძე წესრიგის დაცვის მიზნით მაშინ დააკავეს, როდესაც ის პოლიციას ხელს უშლიდა აქციის სხვა მონაწილის დაკავებაში. მას რამდენჯერმე მოუწოდეს თავის შეკავებისკენ, მაგრამ ნიშნიაძემ შეურაცხყოფა მიაყენა პოლიციელებს. დამატებით, მასაც ჰქონდა შეურაცხმყოფელი შინაარსის ბანერი.[24] თავად ლევან ნიშნიანიძის მიერ სასამართლოში მიცემული ახსნა-განმარტების თანახმად, ის და მისი თანხმლები პირები აქციაზე თეთრი ფურცლის ხელში ჭერისათვის ადმინისტრაციული წესით დაკავებულთათვის სოლიდარობის გამოხატვის მიზნით იმყოფებოდნენ, მათ თან ჰქონდათ ბანერები ძველქართული წარწერით, რომლებზეც არ ყოფილა შეურაცხმყოფელი წარწერა ასახული და, თავის მხრივ, პოლიციის მხრიდანაც არ ყოფილა გაფრთხილება ბანერის აღებაზე.[25]

---

[18] სასამართლო მონიტორინგის ანგარიში ედუარდ მარიკაშვილის, საბა ბრაჭველის, ნიკა რომანაძის, ნოდარ სიხარულიძის, გრიგოლ ფრანგიშვილის ადმინისტრაციულ საქმეზე: 23.06.2023.

[19] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 27 სექტემბრის დადგენილება, საქმის N4/4086-23.

[20] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 28 სექტემბრის დადგენილება, საქმის N4/5969-23.

[21] სასამართლო მონიტორინგის ანგარიში შოთა თუთბერიძის ადმინისტრაციულ საქმეზე: 02.08.2023; სასამართლო მონიტორინგის ანგარიში ლევან ნიშნიანიძის ადმინისტრაციულ საქმეზე: 25.09.2023.

[22] სასამართლო მონიტორინგის ანგარიში შოთა თუთბერიძის ადმინისტრაციულ საქმეზე: 15.09.2023.

[23] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 28 სექტემბრის დადგენილება, საქმის N4/5969-23.

[24] სასამართლო მონიტორინგის ანგარიში ლევან ნიშნიანიძის ადმინისტრაციულ საქმეზე: 25.09.2023.

[25] იქვე.

1.2 სასამართლო პროცესების მონიტორინგის ძირითადი მიგნებები

საქართველოს პარლამენტთან ადმინისტრაციული წესით დაკავებული უფლებადამცველებისა და სამოქალაქო აქტივისტების საქმეებს განიხილავდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია. ამავე კოლეგიის 2023 წლის 16 ივნისის დადგენილებით, ედუარდ მარიკაშვილის, საბა ბრაჭველის, ნიკა რომანაძის, ნოდარ სიხარულიძის, გრიგოლ ფრანგიშვილის საქმეები გაერთიანდა ერთ წარმოებად.[26]

სასამართლო მონიტორინგისას გამოიკვეთა ის ხარვეზები და გამოწვევები, რაზეც მათ შორის, მიუთითებდა საქართველოს სახალხო დამცველი სასამართლოსთვის მიმართულ სასამართლო მეგობრის მოსაზრებებში.[27]

სასამართლო მონიტორინგის ერთ-ერთ უმთავრეს მიგნებას წარმოადგენს მტკიცებულებათა სტანდარტის არარსებობა, რაზეც აპელირებდა დაცვის მხარე.[28] ამ საქმეებში შსს-ს წარმოდგენილი ჰქონდა დაკავების და სამართალდარღვევის ოქმი, სავარაუდო სამართალდარღვევის ამსახველი ფოტოსურათი, ვიდეოჩანაწერი, პოლიციელების ჩვენებები.[29] საქმეებს მტკიცებულების სახით არ ერთვოდა პოლიციელების სამხრე კამერების ჩანაწერები,[30] ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენდა ედუარდ მარიკაშვილის საქმის ეპიზოდი, როდესაც მხარეებმა მოსამართლის მაგიდასთან გამოიკვლიეს სამხრე კამერის ჩანაწერები.[31] სასამართლო სხდომის ანგარიშის თანახმად, სავარაუდოდ სამხრე კამერის ჩანაწერები ასახავდა ედუარდ მარიკაშვილის მხოლოდ დაკავებამდე განვითარებულ მოვლენებს.[32] უფლებადამცვლების მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებისთვის დასმულ შეკითხვაზე, მტკიცებულების სახით სასამართლოში წარმოდგენილ კადრებში რატომ არ იყო დაკავების პროცესი ასახული, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები უპასუხეს, რომ ვიდეოკამერები იმ დროს გათიშული იყო.[33]

სამხრე კამერის ჩანაწერების მტკიცებულების სახით წარმოუდგენლობასთან დაკავშირებით, მოწმის სახით დაკითხულ პოლიციელებს არ ჰქონიათ ერთიანი პოზიცია. ზოგიერთი მათგანი აცხადებდა, რომ ჰქონდა ჩართული სამხრე კამერა, მაგრამ შეხლა-შემოხლის დროს დაუვარდა ძირს,[34] ზოგიერთის ჩვენების თანახმად, არ ჰქონდა ინფორმაცია თუ რატომ არ იყო წარმოდგენილი სამხრე კამერის ჩანაწერები,[35] ზოგიერთის

[26] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 27 სექტემბრის დადგენილება, საქმის N4/4086-23.
[27] იხ. სახალხო დამცველმა 2 ივნისს დაკავებული აქციის მონაწილეების საქმეებზე სასამართლოს მიმართა, 16 ივნისი 2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/x1rtah [05.02.2024].
[28] იხ. ,,ირაყლის" გამო უფლებადამცველების და აქტივისტების დაჯარიმება უკანონოა, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 28 სექტემბერი 2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/j4bm8j [09.02.2024].
[29] სასამართლო მონიტორინგის ანგარიში ედუარდ მარიკაშვილის, საბა ბრაჭველის, ნიკა რომანაძის, ნოდარ სიხარულიძის, გრიგოლ ფრანგიშვილის ადმინისტრაციულ საქმეზე: 23.06.2023.
[30] სასამართლო მონიტორინგის ანგარიში შოთა თუთბერიძის ადმინისტრაციულ საქმეზე: 02.08.2023.
[31] სასამართლო მონიტორინგის ანგარიში ედუარდ მარიკაშვილის, საბა ბრაჭველის, ნიკა რომანაძის, ნოდარ სიხარულიძის, გრიგოლ ფრანგიშვილის ადმინისტრაციულ საქმეზე: 04.09.2023.
[32] იქვე.
[33] სასამართლო მონიტორინგის ანგარიში ედუარდ მარიკაშვილის, საბა ბრაჭველის, ნიკა რომანაძის, ნოდარ სიხარულიძის, გრიგოლ ფრანგიშვილის ადმინისტრაციულ საქმეზე: 23.06.2023.
[34] სასამართლო მონიტორინგის ანგარიში ედუარდ მარიკაშვილის, საბა ბრაჭველის, ნიკა რომანაძის, ნოდარ სიხარულიძის, გრიგოლ ფრანგიშვილის ადმინისტრაციულ საქმეზე: 01.09.2023.
[35] სასამართლო მონიტორინგის ანგარიში შოთა თუთბერიძის ადმინისტრაციულ საქმეზე: 15.09.2023.

ჩვენების თანახმად კი, წვიმდა და რადგანაც წვიმაში კამერა ზიანდება, არ ჰქონდა ჩართული.[36]

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილ ვიდეოკადრებში არ ისმოდა აქციის მონაწილეთა მხრიდან პოლიციის მისამართით შეურაცხმყოფელი და უცენზურო სიტყვები.[37] შესაბამისად, ასეთ პირობებში, როდესაც საქმეში არ არსებობდა სამხრე კამერის ჩანაწერები, აქციის მონაწილეთა წინააღმდეგ მთავარი მტკიცებულება, განსაკუთრებით პოლიციისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების ნაწილში,[38] იყო მოწმეთა ჩვენებები,[39] რომელთა მიცემული ჩვენების სანდოობა და უტყუარობა დაცვის მხარემ კითხვის ქვეშ დააყენა.[40] ამასთან, „საბა ბრაჭველის უფლებადამცველებმა პოლიციელის მხრიდან სავარაუდოდ ცრუ ჩვენების მიცემისა და განზრახ უკანონო დაკავების გამო გამოძიების დაწყების მოთხოვნით პროკურატურას მიმართეს."[41]

ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირები და მათი ადვოკატები ასევე აპელირებდნენ, რომ სასამართლოში მოწმის სახით დაკითხული დამკავებელი პოლიციელები საერთოდ არ იმყოფებოდნენ დაკავების დღეს საქართველოს პარლამენტთან და ამდენად, მათი ჩვენებები არ იყო სანდო.[42] ნიკა რომანაძის საქმეზე ვიდეოჩანაწერის გამოკვლევისას, დამკავებელმა პოლიციელმა დაადასტურა, რომ მან საკუთარი თავი კადრებში ვერ ამოიცნო.[43] ასევე, საბა ბრაჭველის დამკავებელმა პოლიციელმა დაადასტურა, რომ ვიდეოში იგი საკუთარ თავს ვერ ხედავს.[44]

სასამართლო სხდომის საჯაროობასთან დაკავშირებით[45] აღსანიშნავია ორი ძირითადი გამოწვევა:

1. მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესის მიუხედავად, სხდომების მცირე ზომის დარბაზში გამართვა;
2. სხდომის დარბაზის ტექნიკური გაუმართაობა და ვიდეომტკიცებულებების მოსამართლის მაგიდასთან გამოკვლევა.

ედუარდ მარიკაშვილის, საბა ბრაჭველის, ნიკა რომანაძის, ნოდარ სიხარულიძის, გრიგოლ ფრანგიშვილის ადმინისტრაციული სამართალდაღვევის საქმეების გაერთიანების შემდეგ, თბილისის საქალაქო სასამართლოში სხდომები ტარდებოდა მცირე

---

[36] სასამართლო მონიტორინგის ანგარიში ედუარდ მარიკაშვილის, საბა ბრაჭველის, ნიკა რომანაძის, ნოდარ სიხარულიძის, გრიგოლ ფრანგიშვილის ადმინისტრაციულ საქმეზე: 05.07.2023.

[37] სასამართლო მონიტორინგის ანგარიში ედუარდ მარიკაშვილის, საბა ბრაჭველის, ნიკა რომანაძის, ნოდარ სიხარულიძის, გრიგოლ ფრანგიშვილის ადმინისტრაციულ საქმეზე: 23.06.2023.

[38] იქვე.

[39] ,,მხოლოდ პოლიციელის ჩვენებაზე დაყრდნობით პირის პასუხისგებაში მიცემა ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას", იხ. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2020 წელი", 146.

[40] იხ. სასამართლო მონიტორინგის ანგარიში ედუარდ მარიკაშვილის, საბა ბრაჭველის, ნიკა რომანაძის, ნოდარ სიხარულიძის, გრიგოლ ფრანგიშვილის ადმინისტრაციულ საქმეზე: 23.06.2023; „ირაყლის" გამო დაკავებულების საქმე - სასამართლომ არსებითი განხილვა დაიწყო, პუბლიკა, 26 ივნისი 2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/8s38ih [09.02.2024];

[41] „ირაყლის" საქმეზე დაკავებულები სამართალდამრღვევებად ცნეს და დააჯარიმეს, პუბლიკა, 27 სექტემბერი 2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/t8fgnb [09.02.2024].

[42] იხ. მოსამართლემ მოქალაქე სუფთა ფურცლის გამო 500 ლარით დააჯარიმა, რადიო თავისუფლება, 27 სექტემბერი 2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/rdqqkc [28.01.2024].

[43] სასამართლო მონიტორინგის ანგარიში ედუარდ მარიკაშვილის, საბა ბრაჭველის, ნიკა რომანაძის, ნოდარ სიხარულიძის, გრიგოლ ფრანგიშვილის ადმინისტრაციულ საქმეზე: 05.07.2023

[44] „ირაყლის" გამო დაკავებულების საქმე - სასამართლომ არსებითი განხილვა დაიწყო, პუბლიკა, 26 ივნისი 2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/8s38ih [09.02.2024];

[45] საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ,,სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში".

ზომის 30-ე დარბაზში, რის შესახებაც დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა, რომ სხდომები ჩატარებულიყო დიდი ზომის დარბაზში, რადგან დაცვის მხარისათვის სრულყოფილად არ იყო უზრუნველყოფილი დაცვის უფლება და არც საზოგადოებას ეძლეოდა შესაძლებლობა დასწრებოდა საქმის განხილვას. მოსამართლემ ეს შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და აღნიშნა, რომ დიდი დარბაზი სასამართლოში არ იყო თავისუფალი. მისი მითითებით სხდომის დარბაზში დაამატეს სკამები.[46]

ისევ პრობლემად რჩება სხდომათა დარბაზის ტექნიკური გაუმართაობა, რაც მხარეებს ხელს უშლიდა ვიდეომტკიცებულებების სრულყოფილად გამოკვლევაში. მაგალითად, შოთა თუთბერიძის საქმეზე ვიდეომტკიცებულებების გამოკვლევისას არ ისმოდა ხმა,[47] ხმის გამაძლიერებლების არარსებობის მოტივით მოსამართლეს მოუწია ამ სხდომის გადადადება.[48] ვიდეომტკიცებულებების გამოკვლევა მიმდინარეობდა მოსამართლის მაგიდასთან არსებულ კომპიუტერში, რის გამოც სხდომაზე დამსწრე მოქალაქეებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა, გაცნობოდნენ ამგვარი მტკიცებულებების შინაარს.[49]

1.3 თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილების ბუნება

თბილისის საქალაქო სასამართლომ ედუარდ მარიკაშვილის, საბა ბრაჭველის, ნიკა რომანაძის და გრიგოლ ფრანგიშვილის მიმართ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დაწყებული ადმინისტრაციული საქმის წარმოება შეწყვიტა, სამართალდარღვევის შემთხვევის არარსებობის გამო. ხოლო ამავე კოდექსის 166-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ნაწილში სასამართლომ ეს პირები ცნო სამართალდამრღვევად და სახდელის სახით შეუფარდა ჯარიმა 500 ლარის ოდენობით. ნოდარ სიხარულიძე ორივე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენაში ცნო სამართალდამრღვევად და სახდელის სახით დააკისრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით.[50] ედუარდ მარიკაშვილმა ეს დადგენილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. შოთა თუთბერიძე თბილისის საქალაქო სასამართლომ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის პირველ ნაწილთან მიმართებით, ცნო სამართალდამრღვევად და სასჯელის სახით შეუფარდა 500 ლარი, ხოლო ამავე კოდექსის 173-ე მუხლის პირველი ნაწილით დაწყებული ადმინისტრაციული საქმის წარმოება შეწყვიტა სამართალდარღვევის ფაქტის არარსებობის გამო.[51] ლევან ნიშნიანიძე სასამართლომ სამართალდამრღვევად ცნო საქართველოს ადმინისტრაციულ

[46] სასამართლო მონიტორინგის ანგარიში ედუარდ მარიკაშვილის, საბა ბრაჭველის, ნიკა რომანაძის, ნოდარ სიხარულიძის, გრიგოლ ფრანგიშვილის ადმინისტრაციულ საქმეზე: 23.06.2023.
[47] სასამართლო მონიტორინგის ანგარიში შოთა თუთბერიძის ადმინისტრაციულ საქმეზე: 19.09.2023.
[48] სასამართლო მონიტორინგის ანგარიში შოთა თუთბერიძის ადმინისტრაციულ საქმეზე: 15.09.2023.
[49] სასამართლო მონიტორინგის ანგარიში ედუარდ მარიკაშვილის, საბა ბრაჭველის, ნიკა რომანაძის, ნოდარ სიხარულიძის, გრიგოლ ფრანგიშვილის ადმინისტრაციულ საქმეზე: 01.09.2023; სასამართლო მონიტორინგის ანგარიში ედუარდ მარიკაშვილის, საბა ბრაჭველის, ნიკა რომანაძის, ნოდარ სიხარულიძის, გრიგოლ ფრანგიშვილის ადმინისტრაციულ საქმეზე: 05.07.2023.
[50] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 27 სექტემბრის დადგენილება, საქმის N4/4086-23.
[51] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 28 სექტემბრის დადგენილება, საქმის N4/5969-23.

სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების I ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენაში და განუსაზღვრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით.[52]

სასამართლომ წარმოდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით, დადგენილად მიიჩნია, რომ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემულ პირებს ხელში ეჭირათ პლაკატი წარწერით „ირაყლი“. ამასთან, გრიგოლ ფრანგიშვილს ეცვა თეთრი მაისური იგივე წარწერით და მასზე ასახული სხვა უცენზურო სიტყვებით, ხოლო ნოდარ სიხარულიძეს ხელში ეჭირა ბანერი წარწერით „ირაყლეები ხართ“.[53] სასამართლოს შეფასებით, ამ პირების მხრიდან ამგვარი უხამსი და შეურაცხმყოფელი წარწერიანი ბანერების გამოყენებამ გამოიწვია საზოგადოებრივი წესრიგის და სხვა მოქალაქეთა სიმშვიდის დარღვევა. სასამართლოს განმარტებით, „გამოხატვის ან/და შეკრების თავისუფლების სახელით მსგავსი უხამსი გამონათქვამების გამართლება დაუშვებელია, რადგან იგი ანგრევს საზოგადოებრივი მორალის დაცვის მიზანს“.[54]

თბილისის საქალაქო სასამართლომ ხსენებულ დადგენილებაში ხაზი გაუსვა იმას, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცული გამოხატვის თავისუფლების უფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის და დასაშვებია მისი შეზღუდვა. სასამართლო იშვიელებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებას და აღნიშნავს, რომ ლოზუნგების, ბანერების და პლაკატების მეშვეობით აზრის გამოხატვა კომუნიკაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა, რომელიც შესაძლებელია ემსახურებოდეს საზოგადოების ინფორმირებას პოლიტიკური, კულტურული, სოციალური თუ სხვა საკითხის მიმართ.[55] აქვე, სასამართლო იშველიებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას და აღნიშნავს, რომ აზრის თავისუფლების დაცული სფეროდან გამოირიცხება იმგვარი გამონათქვამები, „რომლებიც წარმოადგენს უხამსობას და რომლებსაც არ აქვს პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებლო ან სამეცნიერო ღირებულება“.[56]

სასამართლოს შეფასებით, ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირების მხრიდან ბანერზე, ხოლო გრიგოლ ფრანგიშვილის მხრიდან მაისურზე განთავსებული წარწერა შეიცავდა იმგვარ ასოთწყობას, „რომელიც ნებისმიერი ობიექტური შემფასებლისთვის აღიქმებოდა უხამსობად და მისი მიზანი იყო მხოლოდ შეურაცხყოფის მიყენება“.[57] ამასთან, სასამართლოს მოსაზრებით, ბანერზე ასახული წარწერა საზოგადოების მხრიდან აღიქმებოდა უხამსობად, რადგანაც აქციის გამართვის დღეს ქუჩაში გადაადგილდებოდნენ მოქალაქეები, მათ შორის არასრულწლოვანები, აქციის მონაწილეთა ქმედება იწვევდა საზოგადოების ყურადღების მიქცევას, რომლებიც უკმაყოფილებას, პროტესტს გამოხატავდნენ აქციის მონაწილეთა ქმედებაზე.[58]

შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის პროპორციულობაზე მსჯელობისას, სასამართლომ აღნიშნა, რომ გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის აუცილებლობა გამოიწვია ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირების მიერ

[52] სასამართლო მონიტორინგის ანგარიში ლევან ნიშნიანიძის ადმინისტრაციულ საქმეზე: 02.10.2023.
[53] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 27 სექტემბრის დადგენილება, საქმის N4/4086-23, 7.4-ე პუნქტი.
[54] იქვე.
[55] იქვე.
[56] იქვე.
[57] იქვე.
[58] იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 27 სექტემბრის დადგენილება, საქმის N4/4086-23, 7.4-ე პუნქტი.

საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევამ, რომელიც გამოიხატა უხამსი სიტყვის გამოყენებაში. ამასთან, პოლიციის მხრიდან ამ თავისუფლებაში ჩარევა ემსახურებოდა ლეგიტიმური მიზნის მიღწევას, რაც დაკავშირებული იყო საზოგადოებრივი წესრიგისა და სხვათა უფლებების დაცვასთან.[59]

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტზე მსჯელობისას, სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილ ვიდეომასალაზე ასახული კადრებით უტყუარად არ დასტურდებოდა საბა ბრაჭველის, ედუარდ მარიკაშვილის, ნიკა რომანაძის და გრიგოლ ფრანგიშვილის მხრიდან სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი. ასეთ პირობებში კი, სასამართლომ საკმარისად არ მიიჩნია მოწმეთა ჩვენებები სადავო ფაქტობრივი გარემოების დასადასტურებლად ან გასაქარწყლებლად.[60] რაც შეეხება ნოდარ სიხარულიძეს, მოწმის ჩვენებებისა და ვიდეომასალის ურთიერთშეჯერების საფუძველზე სასამართლომ მიიჩნია, რომ მისი ქმედება ექცეოდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ რეგულირების სფეროში.[61]

აღსანიშნავია, რომ მსგავსი მსჯელობა განავითარა სასამართლომ შოთა თუთბერიძის საქმეზე, რომელმაც საზოგადოებრივი მორალის დაცვის მიზნით, შოთა თუთბერიძე სამართალდამრღვევად ცნო. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 27 სექტემბრის ეს დადგენილება თუთბერიძემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით და მოითხოვა, დადგენილების იმ ნაწილის გაუქმება, რომლითაც იგი სასამართალდამრღვევად იქნა ცნობილი და განესაზღვრა ჯარიმა.[62] საჩივრის ავტორის შეფასებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ არ გამოიკვლია საქმეში წარმოდგენილი აუდიოჩანაწერი სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის არგუმენტაცია და უცვლელად დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული დადგენილება.[63]

2. დაცულია თუ არა, უხამსი ან/და შეურაცხმყოფელი გამონათქვამები შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებით - საერთაშორისო პრაქტიკა

წინამდებარე ანალიტიკურ დოკუმენტში განხილულ ადმინისტრაციულ საქმეებზე, ჯერ თბილისის საქალაქო[64] და შემდეგ სააპელაციო სასამართლომ[65] ბანერი წარწერით „ირაყლი“ შეაფასა როგორც შეურაცხმყოფელი და უხამსი გამონათქვამი, რომლის

[59] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 27 სექტემბრის დადგენილება, საქმის N4/4086-23, 7.4-ე პუნქტი.
[60] იქვე.
[61] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 27 სექტემბრის დადგენილება, საქმის N4/4086-23.
[62] იქვე.
[63] თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 27 ნოემბრის დადგენილება, საქმის N4/ა-1428-23.
[64] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 27 სექტემბრის დადგენილება, საქმის N4/4086-23; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 28 სექტემბრის დადგენილება, საქმის N4/5969-23.
[65] თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 27 ნოემბრის დადგენილება, საქმის N4/ა-1428-23.

გამოყენებამაც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე გამოიწვია საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა. სასამართლოებმა ამგვარი შეფასების გასამყარებლად მათ შორის, მიუთითეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკა. ამდენად, საინტერესოა, განვიხილოთ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას გამოხატული უცენზურო, უხამსი გამონათქვამი, რომლის ადრესატიც სახელისუფლებო პოლიტიკის კრიტიკაა, ექცევა თუ არა შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების სფეროში.

გამოხატვის თავისუფლება მოიცავს იმ საშუალებების ერთობლიობას, რომლებიც საჭიროა ინფორმაციის ან შეხედულებების გამოთქმისთვის, მისი გავრცელებისთვის ან/და მიღებისთვის. ასეთ საშუალებებად მოიაზრება ბანერები და პოსტერები.[66] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლომ საქმეზე - „ჰენდისაიდი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ“, ჯერ კიდევ 1976 წლის გადაწყვეტილებაში, დაადგინა, რომ ევროპული კონვენციის მე-11 (შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება) მუხლით დაცულია ისეთი შეხედულებები, რომლებიც შესაძლებელია იყოს შოკისმომგვრელი, შემაშფოთებელი ან შეურაცხმყოფელი, აწუხებდეს ხელისუფლებას ან მოსახლეობის ნაწილს.[67] „საჯარო თავშეყრის ადგილას გამოხატული უცენზურო გამონათქვამი, ძირითადად, ექცევა ზემოხსენებული ძირითადი უფლებით (უფლებებით) დაცულ სფეროში (სფეროებში)“.[68]

ევროპული კონვენცია მიზნად ისახავს პოლიტიკური შეხედულების მშვიდობიანად და კანონიერად არტიკულაციის გარანტირებას, თუნდაც ასეთი მოსაზრებები მიუღებელი იყოს ხელისუფლებისთვის ან მოქალაქეთა უფრო დიდი ჯგუფისთვის ან/და ეწინააღმდეგებოდეს საზოგადოებაში დამკვიდრებულ წესრიგს.[69] მსგავსი მსჯელობა განავითარა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომაც ერთ-ერთ საქმეში, სადაც აღნიშნა, რომ „საზოგადოებაში თავისუფლად უნდა ცირკულირებდეს განსხვავებული იდეები და შეხედულებები, მათ შორის, ისეთებიც, რომლებიც შესაძლოა შემაწუხებელი, გამაოგნებელი და შეურაცხმყოფელი აღმოჩნდეს საზოგადოების გარკვეული ჯგუფებისათვის“.[70]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომით, შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის ნებისმიერი ღონისძიება, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც იგი ხელს უწყობს ძალადობას ან დემოკრატიული პრინციპების უარყოფას, როგორი მიუღებელი ან არალეგიტიმური არ უნდა იყოს გამოყენებული სიტყვები სახელმწიფო ორგანოებისათვის, არ ემსახურება დემოკრატიას და საფრთხეშიც კი აგდებს მას.[71] ამდენად, ,,ცალკეული განცხადებით გამოწვეული მძაფრი უარყოფითი რეაქცია a priori არ ქმნის საფუძველს სახელმწიფოს ჩარევისათვის და რომ ძირითადი უფლების შეზღუდვა ასეთ პირობებში დამატებით უნდა იქნეს დასაბუთებული“.[72] „სახელმწიფოს არ უნდა ჰქონდეს

---

[66] General comment No. 34, Article 19: Freedoms of opinion and expression, Human Rights Committee, CCPR/C/GC/34, 12 September 2011, par. 12.

[67] *HANDYSIDE v. THE UNITED KINGDOM, no. 5493/72*, § 49, 7 December 1976.

[68] *აბესაძე დ.,* არღვევს თუ არა საქართველოს კონსტიტუციას საჯარო თავშეყრის ადგილას გაკეთებული უხამსი გამონათქვამის გამო პირისათვის სახელმწიფოს მიერ პასუხისმგებლობის დაკისრება, საარჩევნო სისტემებისა და წარმომადგენლობითი დემოკრატიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, საკონსტიტუციო სამართლისა და პოლიტიკის ჟურნალი N1, 2022, 32.

[69] *VONA v. HUNGARY, no. 35943/10*, § 63, 09/12/2013.

[70] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 27 ივლისის №1/4/1394 გადაწყვეტილება საქმეზე „ზვიად კუპრავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4.

[71] *KUDREVIČIUS AND OTHERS v. LITHUANIA, no. 37553/05*, § 145, 15 October 2015.

[72] *აბესაძე დ.,* არღვევს თუ არა საქართველოს კონსტიტუციას საჯარო თავშეყრის ადგილას გაკეთებული უხამსი გამონათქვამის გამო პირისათვის სახელმწიფოს მიერ პასუხისმგებლობის დაკისრება, საარჩევნო სისტემებისა და წარმომადგენლობითი დემოკრატიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, საკონსტიტუციო სამართლისა და პოლიტიკის ჟურნალი N1, 2022, 33.

დემონსტრაციის აკრძალვის უფლება იმის გამო, რომ დემონსტრანტების მიერ გაჟღერებული „მესიჯი“ მიიჩნიოს არასწორად“.[73]

თავის მხრივ, იმის შესაფასებლად, კონვენციით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა ჩაითვლება თუ არა, „აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში“, ხელშემკვრელი სახელმწიფოები სარგებლობენ გარკვეული, მაგრამ არა შეუზღუდავი შეფასების ზღვრით.[74] ამასთან, პოლიტიკური სიტყვის ან საჯარო ინტერესის საკითხზე გამართული დებატების შეზღუდვისთვის დაწესებული შეფასების ფარგლები მცირეა“.[75]

ფერაძე და სხვების საქმეში[76], ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლომ ხაზგასმით მიუთითა, რომ ვულგარული ფრაზების გამოყენება თავისთავად არ არის გადამწყვეტი მე-10 მუხლის მიხედვით შეურაცხმყოფელი გამონათქვამის შეფასებისას, რადგან ის შეიძლება ემსახურებოდეს მხოლოდ სტილისტურ მიზნებს.[77] სასამართლოს განმარტებით, უხამსი სიტყვის სტილისტურ ინსტრუმენტად გამოყენებისას, როდესაც მისი მიზანია გარკვეული პოლიტიკის მიმართ უკმაყოფილების გამოხატვა, სწორედ ამგვარი გამოხატვის ფორმის შერჩევა არ არის საკმარისი სიტყვის შესაზღუდად.[78] ასევე, საჯარო თავშეყრის ადგილებში, ნებისმიერმა შეკრებამ/დემონსტრაციამ შესაძლებელია გამოიწვიოს, ჩვეულებრივი საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეული ცვლილება/შეფერხება და ეს გარემოება თავისთავად არ ამართლებს შეკრების თავისუფლებაში ჩარევას.[79]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს იმ შემთხვევაში, „თუ გამოხატვის ერთადერთი მიზანი არის შეურაცხყოფა, კერძოდ - უსაფუძვლოდ დამცირება ან პერსონალური თავდასხმა უმიზეზოდ, პროპორციული სანქციის დაკისრება, არსებითად, არ ჩაითვლება გამოხატვის თავისუფლების დარღვევად“.[80] „აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, აშშ-ის კონსტიტუციის პირველი შესწორება ვრცელდება ლიტერატურული, მხატვრული, პოლიტიკური ან სამეცნიერო ღირებულების მქონე უცენზურო შინაარსის გამოხატვაზე (და, პირიქით, უცენზურო გამოხატვა, რომელიც მოკლებულია ამგვარ ღირებულებას, შეიძლება, როგორც უკიდურესი უხამსობა, საერთოდ არ იქნეს დაცული კონსტიტუციით)“.[81]

უხამსი შინაარსის განცხადების შესაფასებლად, ყურადღება უნდა მიექცეს ამგვარი გამოხატვის მიზანს, კონტექსტს და უპირატესობა არ უნდა მიენიჭოს ცალკე აღებულ

---

[73] Guide on Article 11 of the European Convention on Human Rights, Freedom of assembly and association, Council of Europe/European Court of Human Rights, 2022, 17.
[74] *PERADZE AND OTHERS v. GEORGIA, no. 5631/16*, § 34, 15/03/2023.
[75] *BUMBEȘ v. ROMANIA, no. 18079/15*, § 92, 03/08/2022.
[76] იხ. ,,პანორამა თბილისის“ საწინააღმდეგო აქციის მონაწილეებმა სახელმწიფოს სტრასბურგში დავა მოუგეს, რადიო თავისუფლება, 15 დეკემბერი 2022, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/12naso [03.02.2024].
[77] *PERADZE AND OTHERS v. GEORGIA, no. 5631/16*, § 44, 15/03/2023.
[78] *PERADZE AND OTHERS v. GEORGIA, no. 5631/16,* § 45, 15/03/2023.
[79] იქვე, § 36.
[80] European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), CDL-AD (2016)002, Opinion on Articles 216, 299, 301 and 314 of the Penal Code of Turkey, Strasbourg, 15 March 2016, § 68.
[81] *აბესაძე დ.,* არღვევს თუ არა საქართველოს კონსტიტუციას საჯარო თავშეყრის ადგილას გაკეთებული უხამსი გამონათქვამის გამო პირისათვის სახელმწიფოს მიერ პასუხისმგებლობის დაკისრება, საარჩევნო სისტემებისა და წარმომადგენლობითი დემოკრატიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, საკონსტიტუციო სამართლისა და პოლიტიკის ჟურნალი N1, 2022, 39, იხ. ციტირება: Miller v. California, 413 U. S. 15, 24 (1973).

ვულგარული შინაარსის გამონათქვამს. მსგავსი პრაქტიკა აქვს დიდი ბრიტანეთის სასამართლოსაც, სადაც „ნებისმიერი უხამსი სიტყვის გამოყენებისას შესაფასებელია კონტექსტი რომელშიც იგია გამოყენებულია და წარმოადგენდა თუ არა ეს სიტყვები ვინმესთვის ძალადობის მაპროვოცირებელ, მორალურად მიუღებელ და შეურაცხმყოფელ სიტყვებს და დადგა თუ არა ეს შედეგი“.[82]

ამრიგად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, უხამსი იგივე პროფანაციული გამოხატვა დაცულია კონვენციით, რადგანაც „თავისთავად ვულგარული ფრაზების გამოყენება არ არის გადამწყვეტი შეურაცხმყოფელი გამონათქვამის შეფასებაში. სტილი წარმოადგენს კომუნიკაციის ნაწილს, როგორც გამოხატვის ფორმა დაცულია გამოხატვის შინაარსთან ერთად“.[83] გასათვალისწინებელია ისიც, რომ ევროპული კონვენციის ხელშემკვრელ მხარეებს შორის არ არსებობს მორალის ერთიანი კონცეფცია.[84] შესაბამისად, პროფანაციული ტერმინის გამოხატვა დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით და სასამართლო პრაქტიკით.

3. სახელმწიფოს ვალდებულება მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების დასაცავად

მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება დემოკრატიული, ტოლერანტული და პლურალისტური საზოგადოების ფუნდამენტია.[85] შეკრების მშვიდობიანად ჩატარების უზრუნველყოფის საქმეში პოლიციას მნიშვნელოვანი როლი აკისრია, რომელმაც მისი დაგეგმვის, მომზადებისა და ჩატარების ფასილიტაციის პროცესში უნდა იხელმძღვანელოს ადამიანის უფლებების დაცვაზე დაფუძნებული მიდგომით.[86] სახელმწიფოს ეს ვალდებულება ორი მიმართულებით გამოიხატება: 1) ნეგატიური ვალდებულება - „სახელმწიფო დაწესებულებებს, თანამდებობის პირებსა და მოქალაქეებს უფლება არა აქვთ, ხელი შეუშალონ ამ კანონით დადგენილი წესის დაცვით შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზაციასა და ჩატარებას, მოქალაქეთა მიერ საკუთარი შეხედულებების საჯაროდ გამოხატვას“;[87] 2) პოზიტიური ვალდებულება - სახელმწიფომ შეკრების მშვიდობიანად წარმართვისთვის უნდა მიიღოს ყველა საჭირო ზომა.[88] „შეკრების კონსტიტუციური უფლების შინაარსიდან გამომდინარე, სახელმწიფო, ერთი მხრივ, ვალდებულია ხელი არ შეუშალოს მშვიდობიანი შეკრების პროცესს, ხოლო, მეორე მხრივ, კონსტიტუცია თავად ადგენს ამ პროცესის მშვიდობიანად წარმართვის დაცვის ვალდებულებას“.[89] „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი პოლიციის უფლებამოსილებების ნაწილში ცალკე გამოყოფს „შეკრებების, მანიფესტაციებისა და სხვა მასობრივი ღონისძიებების მონაწილეთა

[82] ,,შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის” სასამართლო მეგობრის მოსაზრება კონსტანტინე ჩაჩანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ საქმეზე, N2/6/1367, 6 ოქტომბერი 2020, პარაგრაფი 1.1.1.
[83] *Uj v. Hungary, no.23954/10,* § 20, 19 July 2011.
[84] *MÜLLER AND OTHERS v. SWITZERLAND, no. 10737/84,* § 35, 24 May 1988.
[85] Guidelines on Freedom of Peaceful Assembly (3rd edition), CDL-AD(2019)017rev, Study n° 769/2014, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (OSCE/ODIHR), Strasbourg / Warsaw, 15 July 2020, 4.
[86] იქვე, 11.
[87] ,,შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-12 მუხლის, მე-2 პუნქტი.
[88] მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება (უფლებით დაცული სფერო და შეკრების მართვის სტანდარტი), საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, თბ., 2020, 34.
[89] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის №1/3/538 გადაწყვეტილება საქმეზე „პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-8.

უსაფრთხოების უზრუნველყოფას“.[90] ეს ჩანაწერი მიუთითებს პოლიციის განსაკუთრებულ ფუნქციაზე შეკრების თავისუფლების ეფექტიანად რეალიზაციის საკითხში.[91]

მაშინ, როდესაც აქციის მონაწილეები არ იქცევიან ძალადობრივად, მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლებამ ამგვარი მშვიდობიანი შეკრების მიმართ გამოიჩინოს გარკვეული ტოლერანტობა.[92] ,,ყველა სახის შეკრება, გარდა იმისა, რომელსაც აქვს ძალადობრივი მიზნები და უარყოფს დემოკრატიულ ღირებულებებს, იმსახურებს სათანადო დაცვას“.[93] მშვიდობიანი შეკრების პირობებში, მისი შინაარსის მიუხედავად, როდესაც დემონსტრანტები არ ერთვებიან ძალადობრივ აქტებში, სახელმწიფომ უნდა გამოიჩინოს, „შემწყნარებლობის განსაზღვრული დონე (degree of tolerance) წინააღმდეგ შემთხვევაში, თავად შეკრების თავისუფლება დაცლილი იქნება სრულად ყოველგვარი შინაარსისგან“.[94]

მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ თავის მხრივ, ტერმინი „მშვიდობიანი“ მოიცავს მათ შორის ისეთ ქცევას, რომელმაც შეიძლება გააღიზიანოს ან შეურაცხყოს ინდივიდები ან ჯგუფები, რომლებიც არ იზიარებენ ამგვარ იდეებს, ასევე, აფერხებს ნორმალურ საზოგადოებრივ ცხოვრებას. ამ შემთხვევაში მოქმედებს ვარაუდი იმისა, რომ აქციის ორგანიზატორებს და მონაწილეებს აქვთ მშვიდობიანი განზრახვა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს ძალადობრივი ქმედებების გამოყენებისა და წაქეზების დამაჯერებელი მტკიცებულებები.[95]

როგორც ზემოთ აღინიშნა, უხამსი ან/და ვულგარული გამონათქვამები ექცევა შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების სფეროში. „ამგვარი გამონათქვამების დაცვა დამოკიდებულია გამოთქმის კონტექსტზე და კრიტიკის მიზანზე. იმ საქმეებში, სადაც გამონათქვამი მიმართულია საჯარო მმართველობის წინააღმდეგ, „მძაფრი“ ანდა „მკვახე გამონათქვამები“ უფრო მეტად არის შეწყნარებული“.[96]

„სახელმწიფოს შეუძლია, შეზღუდვები დააწესოს გამოხატვის თავისუფლებაზე, იმ პირობით, რომ ეს შეზღუდვები ემსახურება კანონიერ მიზანს“.[97] საქართველოს კონსტიტუცია ამგვარ კანონიერ მიზნად ასახელებს, „დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელ სახელმწიფო ან საზოგადოებრივ უსაფრთხოებას ან ტერიტორიულ მთლიანობას, სხვათა უფლებების დაცვას, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილებას ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფას“.[98] ამასთან, დაწესებული შეზღუდვები დამატებით უნდა იყოს არადისკრიმინაციული, პროპორციულად შემზღუდველი და შეზღუდვით დაცული სიკეთე

---

[90] ,,პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-17 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტი.
[91] მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება (უფლებით დაცული სფერო და შეკრების მართვის სტანდარტი), საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, თბ., 2020, 38.
[92] *İzci v. Turkey, no. 42606/05*, § 89, 23 July 2013.
[93] აქტივიზმი და შეკრების უფლებით სარგებლობა ქართული პრაქტიკის ანალიზი, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2022, 12, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/mf3fhp [28.01.2024].
[94] იქვე.
[95] Guidelines on Freedom of Peaceful Assembly (3rd edition), CDL-AD(2019)017rev, Study n° 769/2014, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (OSCE/ODIHR), Strasbourg / Warsaw, 15 July 2020, 9.
[96] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე № ას- 697-651-2017.
[97] *ამირანაშვილი გ.,* გამოხატვის თავისუფლების ,,საკასაციო უპირატესობა“, რევაზ გოგშელიძე - 65, საუბილეო კრებული, გამომცემლობა ,,მერიდიანი“, თბ., 2022, 361.
[98] საქართველოს კონსტიტუცია, მე-17 მუხლის მე-5 პუნქტი.

უნდა აღემატებოდეს შეზღუდვით მიყენებულ ზიანს.[99]-[100] გასათვალისწინებელია, რომ „სიტყვის თავისუფლების შეზღუდვისას მტკიცების ტვირთი ეკისრება შეზღუდვის ინიციატორს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ.“[101]

აღსანიშნავია ისიც, რომ „უკანონო დაკავებები, თუნდაც ეს იყოს ხანმოკლე, პირდაპირ გავლენას ახდენს აქციის მონაწილეთა შეკრების და გამოხატვის, გადააგილების, პიროვნების უსაფრთხოების თავისუფლებაზე“.[102] დაკავება უნდა იქნას გამოყენებული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული სერიოზული სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა და სადაც დაპატიმრება აბსოლუტურად აუცილებელია (მაგ., ძალადობრივი ქმედების აღსაკვეთად).[103] სახალხო დამცველის შეფასებით, „შეკრებების მართვის პროცესში პოლიციის მიერ გამოყენებული ადმინისტრაციული დაკავებები, წვრილმანი ხულიგნობისა და სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის გამო, მავნე პრაქტიკაა და კანონის არასწორი ინტერპრეტაციის შედეგია.“[104]

დასკვნა

დოკუმენტში განხილული აქტივისტებისა და უფლებადამცველების საქმეზე თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოს დადგენილებები საყურადღებო და გასააზრებლად მნიშვნელოვანია. სასამართლოების შეფასებით, წარწერით - „ირაყლი“ ბანერების დაჭერა არღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს, რადგანაც ბანერში არსებული წარწერა იყო შეურაცხმყოფელი და უხამსი. ამასთან, ამგვარი გამოხატვის ფორმა არ იყო დაცული კონსტიტუციით, რადგანაც მათ არ გააჩნდათ პოლიტიკური, სამართლებრივი, სოციალური ან კულტურული შინაარსი. ფაქტობრივად, სასამართლოებმა მხედველობაში არ მიიღეს ამგვარი განცხადების კონტექსტი და მიზანი, რომ ამგვარი გამოხატვა არ უშვებდა კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელების შესაძლებლობას, მესამე პირთა პირადი სფეროს ან არასრულწლოვანთა ინტერესის ხელყოფას, ასევე, პლაკატზე ასახული წარწერა არ შეიცავდა სიძულვილის ენას.[105] ისინი ხელს არ უშლიდნენ ტრანსპორტის ან მოქალაქეთა გადაადგილებას, არ ბლოკავდნენ შენობის შესასვლელს.[106] სასამართლოების ამგვარი განმარტების პირობებში, „საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას გაკეთებული უცენზურო

---

[99] ,,შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-3 მუხლი.
[100] იხ. სასამართლოს მეგობრის (Amicus curiae) მოსაზრება მოქალაქე საბა ბრაჭველის საქმეზე, N15- 5/5562, საქართველოს სახალხო დამცველი, 13/06/2023, 8, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/tpra5q [05.02.2024].
[101] ,,სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-7 მუხლის მე-6 პუნქტი.
[102] UN Human Rights Committee, General Comment No. 35 on Article 9 (Liberty and Security of Person), CCPR/C/GC/35, 16 December 2014.
[103] Guidelines on Freedom of Peaceful Assembly (3rd edition), CDL-AD(2019)017rev, Study n° 769/2014, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (OSCE/ODIHR), Strasbourg / Warsaw, 15 July 2020, 83.
[104] მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება (უფლებით დაცული სფერო და შეკრების მართვის სტანდარტი), საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, თბ., 2020, 45.
[105] *აბესაძე დ.,* არღვევს თუ არა საქართველოს კონსტიტუციას საჯარო თავშეყრის ადგილას გაკეთებული უხამსი გამონათქვამის გამო პირისათვის სახელმწიფოს მიერ პასუხისმგებლობის დაკისრება, საარჩევნო სისტემებისა და წარმომადგენლობითი დემოკრატიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, საკონსტიტუციო სამართლისა და პოლიტიკის ჟურნალი N1, 2022, 50-51.
[106] სახალხო დამცველმა 2 ივნისს დაკავებული აქციის მონაწილეების საქმეებზე სასამართლოს მიმართა, 16 ივნისი 2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/x1rtah [05.02.2024].

შინაარსის გამონათქვამი კონსტიტუციური დაცვის გარეშე არის დატოვებული“[107]. ამასთან, სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს თითქმის იდენტურ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებები.[108]

აღსანიშნავია სასამართლო პროცესების დაკვირვების შედეგად გამოკვეთილი ხარვეზული საკითხები, რომელთა შორის გამოსაყოფია, ადმინისტრაციული ორგანოს მტკიცებულებათა სტანდარტის არარსებობა, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მიუხედავად, სასამართლო სხდომების მცირე ზომის დარბაზში გამართვა, სასამართლოში იმ პოლიციელების დაკითხვა მოწმის სახით, რომლებიც დაცვის მხარის შეფასებით, საერთოდ არ მონაწილეობდნენ დაკავების პროცესში, ვიდეომტკიცებულებების გამოკვლევა მოსამართლის მაგიდასთან განთავსებულ კომპიუტერში, სხდომის დარბაზის ტექნიკური გაუმართაობა.[109]

სასამართლო მონიტორინგის ეტაპზე იდენტიფიცირებული პრობლემური საკითხები მოითხოვს შესაბამისი ნაბიჯების გადადგმას, რადგანაც ეს უკანასკნელი დაკავშირებულია სასამართლოს გზით უფლების სათანადოდ დაცვასთან, სამართლიანი სასამართლოს უფლება ვრცელდება იმ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზეც, რისთვისაც სანქციის სახედ ადმინისტრაციული პატიმრობაა დაწესებული.[110] ამასთან, დაცვის მხარის შეფასებით, გამოწვევად რჩება მსგავს საქმეებზე მათ მიერ წარდგენილი ნეიტრალური მტკიცებულებების სასამართლოს მხრიდან სრულყოფილად და სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში გამოკვლევის პრობლემა,[111] „კონკრეტული მტკიცებულებითი სტანდარტის არარსებობის პირობებში, პირის სამართალდამრღვევად ცნობა, სამართალდარღვევის ოქმისა და სასამართლო სხდომის დარბაზში გამოკითხული პოლიციის თანამშრომლების ჩვენებებზე დაყრდნობით.“[112]

---

[107] *აბესაძე დ.,* არღვევს თუ არა საქართველოს კონსტიტუციას საჯარო თავშეყრის ადგილას გაკეთებული უხამსი გამონათქვამის გამო პირისათვის სახელმწიფოს მიერ პასუხისმგებლობის დაკისრება, საარჩევნო სისტემებისა და წარმომადგენლობითი დემოკრატიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, საკონსტიტუციო სამართლისა და პოლიტიკის ჟურნალი N1, 2022, 50-51.
[108] იხ. *PERADZE AND OTHERS v. GEORGIA, no. 5631/16*, 15/03/2023.
[109] იხ. ზემოთ, პარ. 1.1.2.
[110] *FRUMKIN v. RUSSIA, no. 74568/12*, § 155, 06/06/2016.
[111] თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 27 ნოემბრის დადგენილება, საქმის N4/ა-1428-23.
[112] სასამართლოს მეგობრის (Amicus curiae) მოსაზრება მოქალაქე საბა ბრაჯველის საქმეზე, N15- 5/5562, საქართველოს სახალხო დამცველი, 13/06/2023, 13, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/tpra5q [05.02.2024].